პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 237 (6292)

1978 წ. 5 დეკემბერი სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



შეხვედრები სტარტზე

სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა)

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე ჩემპიონატის სტარტზე საკმაოდ ძლიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ არ არიან მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, ვ. სმისლოვი, რომლებმაც თამაშზე უარი განაცხადეს სხვადასხვა მიზეზით. ჩემპიონატში უპირატესად ახალგაზრდა მოჭადრაკეები მონაწილეობენ, ეს კი უშელავათო, „მხიარული“ ბრძოლის საწინდარია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 15 წლის ბაქოელი ჰ. კასპაროვის გამოსელა. ჩემს თითქმის 40 წლის თამაშისა და მსჯობის პრაქტიკაში არ მახსოვს ქვეყნის პირველობაში უფრო ახალგაზრდა მოჭადრაკის მონაწილეობა.

შეჯიბრების სტარტმა ნაწილობრივ გაანაწყენა გულშემატკივრები. პირველი ორი ტურის 13 შეხვედრაში 12 ყაიმით დამთავრდა. შეიძლება ხუმრობით, ანდა სერიოზულადაც გაისმოდა, რომ ფეხბურთის მსგავსად მოჭადრაკეთათვისაც საჭიროა ყაიმების ლიმიტირება. ეს ალბათ საღისკუსიო საკითხია, მაგრამ ჯერ საკანგაშო არაფერია. ყველა 12 პარტიაში ბრძოლა მიმზიდველი და დაძაბული იყო. დასანანია, მხოლოდ ის, რომ ბევრი კარგი ჩანაფიქრი „ქულისებში“ დარჩა. შეიძლება დაჯერებულად ითქვას, რომ ჩემპიონატი საინტერესო იქნება.

როგორ მიმდინარეობდა პირველი ორი ტური? I ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალისა და ქვეყნის ჩემპიონის ი. დორფმანის, აგრეთვე ჩემპიონატის უხნესი, 53 წლის გელერისა და ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის კასპაროვის შეხვედრამ...

როცა ტალმა სლავურ დაცვაში მეტოქეს პაიკის შეწირვა შესთავაზა, ნათელი გახდა — იგი თავის სტიქიაშია. მსჯოთა მაგიდასთან რომ ჩაიარა, თავი ვერ შეიკავა და თქვა: პირველ ტურში ყველაფერი შეიძლებაო. უნდა დავუმატო, რომ შემდგომ ტურებშიც შეიძლება პაიკის შეწირვა. პარტია მწვავედ მიმდინარეობდა. დორფმანი აქტიურად და საინტერესოდ იგერიებდა მუქარას. ტალმა უჩვეულო გეგმა აირჩია და ორ მსუბუქ ფიგურაში ეტლი და სამი პაიკი მოიგო. პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში.

ტალი (თეთრები): მფg3, ეf3, ეh3, პ3. a3, b2, c5, f3, g4. h5.

დორფმანი (შავები): მფf6, ეd3, კd7, მe3, პ3. b7, c6, g7.

რიგელმა დიდოსტატმა ჩაიწერა თავისი 42-ე სვლა. დორფმანის ფიგურები აქტიურად არიან განლაგებული, ამიტომ ტალს უპირატესობის რეალიზაციის დროს ტექნიკური სიძნელეების დაძლევა მოუხდება.

არანაკლებ მიმზიდველი იყო მეორე შეხვედრა. კასპაროვმა თავისი საყვარელი კარო-კანის დაცვა გაითამაშა. პოზიციის გამარტივების შემდეგ გელერმა მცირე უპირატესობა მიიღო, მაგრამ საღღაც უზუსტოდ ითამაშა და ისიც „აორთქლდა“. ამიტომ 32-ე სვლაზე მან კასპაროვს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ ნორჩმა ოსტატმა წინადადება არ მიიღო. პარტია გადაიდო. მეორე დღეს შევხვდი კასპაროვის დედას. იგი, თითქოს ბოდიშს იხდიდა შვილის საქციელზე, როცა მითხრა: „გამიგეთ, ბიჭს ეშინოდა, რომ ბოტვინიკი უკმაყოფილო დარჩებოდა. იგი მუდამ მოითხოვს ბოლომდე პარტიის თამაშს“ (მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი დაუსწრებლად მეურვეობს და წვრთნის კასპაროვს). მაგრამ ამ დღეს მეტოქენი დაზავდნენ თამაშის განუახლებლად. ნორჩი ოსტატის პირველი გამოსვლა იმედის მომცემია.

აღსანიშნავია თ. გიორგაძის სპა-

(დასასრული მე-4 გვ.).

• • •

სურათებზე: საუბრობენ (მარცხნიდან) ა. მიხალჩიშინი, თ. გიორგაძე და ვ. ტუკმაკოვი; ჩემპიონატის სარბიელის ხედი.

თ. ქიქავასა და ვ. ზარგარიანის ფოტოები.





წყალი ცხრომა

ლიანა ცოტაძის ვერცხლის მედალი

ჩელიაბინსკში დამთავრდა წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი. კოშკიდან ხტომაში ყველას აჯობა 14 წლის პენზელმა სპორტსმენმა ტ. ბელიაკოვამ. **დიდი წარმატებით გამოვიდა თბილისელი ლიანა ცოტაძე, რომელმაც II ადგილი დაიკავა.** III ადგილზეა მოსკოვის ქალაქ ელექტროსტალის წარმომადგენელი ე. მატიუშენკო.

ვაჟთა შორის დაძაბული ბრძოლა გაიმართა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს, ერევნელ დ. ამბარცუმიანსა და 19 წლის სარატოველ ვ. ტროშინს შორის. სარატოველმა კარგად შეასრულა ნებისმიერი ნახტომები და 606,11 ქულით პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვეს 19 წლის ელექტროსტალელმა ი. უმნოვამ და ჩელიაბინსკელმა მოსწავლემ ს. კუზმინმა. პირველის შედეგია 445,27 ქულა, ხოლო მეორესი — 631,69.

• • •

სურათზე: ლ. ცოტაძე.

ვინ როგორ მუშაობს?

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები პირველი დეკემბრისთვის ასეთი იყო:

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი

	ადგილები			
	I	II	III	ქულები
ქ. თბილისი	268	229	245	4926,0
აჭარის ასსრ	25	8	22	320,0
ქ. გორი	12	11	10	294,5
ქ. რუსთავი	11	17	16	236,0
ქ. ქუთაისი	13	10	15	235,5
აფხაზეთის ასსრ	8	11	14	220,0
ქ. ფოთი	2	—	4	37,0
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	1	3	—	22,0
ქ. წყალტუბო	—	—	2	3,0
ქ. ჭიათურა	—	—	1	2,0

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი

„დინამო“	86	57	91	1555,0
„ბურევესტნიკი“	64	55	37	1190,0
„განთიადი“	38	47	49	1015,0
„შრ. რეზერვები“	46	35	40	755,0
„ლოკომოტივი“	35	30	20	690,0
„სპარტაკი“	26	30	34	529,5
ასკ	47	35	36	529,0
„კოლმეურნე“	16	17	32	325,0
„ოდნიკი“	12	3	12	213,0

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

ბორჯომი (ზამთრის სახეობები)	6	3	5	109,0
მახარაძე	2	—	—	85,0
გარდაბანი	6	4	3	80,0
მცხეთა	2	3	2	42,0
საშტრედია	2	3	—	36,0
კასპი	5	2	3	34,0
ზესტაფონი	2	—	1	30,0
ახალციხე	—	2	—	15,0
ხაჩხერე	—	2	—	12,0
წითელი წყარო	—	1	—	12,0
დუშეთი	—	—	1	0,5
თელავი	1	—	4	0
ახმეტა	1	1	—	0
მესტია	—	—	1	0

შენიშვნა: 1. გრაფაში „დაკავებული ადგილები“ აღნიშნულია ცენტრალური საბჭოებისა და საკავშირო პროფსაბჭოს შეჯიბრებებში, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებსა და ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებული საპრიზო ადგილების რაოდენობა;

2. გრაფაში „ქულები“ გათვალისწინებულია მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებში მოგროვებული ქულები. აქ პირველი ადგილისთვის იწერება 5 ქულა, მეორესთვის — 3, მესამესთვის — 1 სათანადო კოეფიციენტის გათვალისწინებით.

საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.

ოლიმპიური ჩემპიონის პრიზზე

ქალაქ ორჯონიკიძეში გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მსოლიოს ოთხგზისა და XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ სოსლან ანდიევის პრიზზე. სარბიელზე სულ 272 ნორჩი სპორტსმენი გამოვიდა. მათ შორის სამი მოჭიდავე ცხინვალის წარმომადგენელი იყო.

65 კილოგრამ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა 17 წლის თ. ხიუკაევმა. მან ექვსივე შეხვედრაში გაიმარჯვა და I ადგილი დაიკავა. მასვე გადაეცა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის დაწესებული პრიზი. მეორე ცხინვალელმა სპორტსმენმა ვ. ხუგაევმა (80 კგ) ფინალური შეხვედრა დათმო მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონთან, ორჯონიკიძელ ა. ფაძაევთან და II ადგილი დაიკავა. III სპრიზო ადგილზე გავიდა ვ. კაზიევი (60 კგ).

ვ. მელკოევი.
(ჩვენი კორ.).



ჭიდაობა



ჭადრაკი

პირველი შეხვედრები

ფრუნზე, 3 დეკემბერი (დეპეშათ. ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში I ტურის შეხვედრები გაიმართა. დიდოსტატმა მ. ლატინსკაიამ (ლვოვი) სიცილიურ დაცვაში ხარისხი მოუგო ტ. მოროზოვას (ოდესა). ოდესელმა მოჭადრაკემ უკვე უარეს პოზიციაში დროს გადააცილა და მას წაგება ჩაეთვალა. ყაიმით დასრულდა ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — ტ. ეორონოვას (ხაბეროვსკი ჩელნი) პარტია.

ექვსი პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ნ. იოსელიანი — ნ. გურიელის შეხვედრა თავიდანვე დაძაბულად მიმდინარეობდა. ერთ მომენტში იოსელიანს გამორჩა გურიელის კომბინაცია (ლაზიერის შეწირვა) და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შეწყვეტილ პოზიციაში გურიელის გაშარჯვება ეჭვს არ იწვევს. თ. ხუციშვილს ლ. ზაიცევასთან (მოსკოვი) ხარისხის მოგება შეეძლო, მაგრამ მან სხვა გაგრძელება აირჩია. ორმხრივ ციტნოტში საქართველოს ჩემპიონმა უსწოროდ ითამაშა და პარტია ლაზიერების ენდშპილში უპაიკოდ გადადო.

II ტურში იოსელიანი საუნინას შეხვდა. სვერდლოვსკელმა ოსტატმა ფრანგული დაცვა აირჩია, მაგრამ იოსელიანმა ორიგინალურად გაითამაშა იგი და იერიშიც წამოიწყო, მხედრის შეწირვით თბილისელმა მოჭადრაკემ 42-ე სვლაზე მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა.

ლამაზი დარტყმებით ლიტინსკაიამ სძლია საერთაშორისო ოსტატ ლ. ბელავენეცს (მოსკოვი).

თ. ხუციშვილმა უკეთესი პოზიცია მიიღო მ. რანიკუსთან (ტალინი), მაგრამ ციტნოტში აღმოჩნდა, აჩქარდა და შეცდა. 39-ე სვლაზე ხუციშვილი წაგებას შეურიგდა.

ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) ლ. ლისენკოს (კიევი) მხრიდან ჯერ პაიკის შეწირვა მიიღო, მერე კონტრიერიშზე გადაეიდა და გაიმარჯვა.

მძაფრად მიმდინარეობდა გურიელი — ტ. ფოჭინას (ტალინი) პარტია. რთული პოზიციაში, როცა ორივე მეტოქე ციტნოტში მოექცა, გურიელმა უზუსტოდ ითამაშა და დამარცხდა.

ყაიმზე შეთანხმდნენ ტ. ჩეხოვა (მოსკოვი) — მოროზოვა.

გადაიდო ორი პარტია. გადადებული პარტიების დამთავრება 5 დეკემბერს მოეწყობა.

ბ. მაჰაპარიანი.

კიდევ ერთი ტურნირი

ბუენოს-აირესში (არგენტინა), სადაც ამ მცირე ხნის წინ დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა და ქალთა მსოფლიო ოლიმპიადები, გრძელდება ჭადრაკის ზეიმი: სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ატარებენ ერთფრთიანი თამაშის სეანსებს, ტურნირებს. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი, რომელშიც 14 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, დამთავრდა შვედი უ. ანდერსონის გამარჯვებით, მან შეძლო 13-დან 9 ქულის მოგროვება. II-III ადგილები გაიყვეს ვ. ხმასლოვმა და რ. ვაპანიანმა (8,5-8,5).

ნიჩბოსნობა

უხვი მოსავალი

ფოთში, კაპარჭაზე დამთავრდა უძლიერესი კოლექტივების საშემოდგომო საკავშირო პირველობა მცირეადგილიანი აკადემიური ნავებით ნიჩბოსნობაში. შეჯიბრების პროგრამაში იყო ქალებისთვის 6000 და 1000 მეტრზე რბოლა, ხოლო ვაჟები ძალებს სცდიდნენ 8000 და 2000 მეტრიან დისტანციებზე.

თუ როგორ გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები ამ ტურნირში, ჩვენს კორესპონდენტს მოუთხრო საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა აკადემიურ ნიჩბოსნობაში **გ. ელბაქიძემ.**

— **შეჯიბრების** მიზანი იყო წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შემოწმება, ამიტომაც ამ სტარტებში ყველა რესპუბლიკის სანიჩბოსნო ცენტრების სპორტსმენები მონაწილეობდნენ. სარბიელზე არ გამოვიდნენ მხოლოდ ქვეყნის ნაკრების წევრები, რომლებიც განსაკუთრებული გეგმით ემზადებიან სხვა საპასუხისმგებლო ასპარეზობებისთვის. ცხადია შეჯიბრებაში არც რუსთაველები ვ. კიავერიანენი და ი. ეფიმოვა მონაწილეობდნენ.

ყველას მთავარი საზრუნავი იყო კლასიკურ დისტანციებზე (1000 და 2000 მეტრი) რბოლა, ვინაიდან ის ეკიპაჟები, რომლებიც აქ 12 უძლიერესთა შორის დაიკავებდნენ ადგილს, სპორტის ოსტატის წოდებას იღებდნენ. ამან განაპირობა ყველა გაცურვაში ბრძოლების სიმწვავე, მონაწილეები დაყოფილი სტარტით ებმებოდნენ ბრძოლაში. ეს ე. წ. განდიკაპი ნაკარნახევი იყო იმით, რომ მდევრებს წინ გასულთა დაწევის ცდაში მაღალი შედეგის მოპოვება შეძლებოდათ.

მასპინძლებიდან სარბიელზე ქალების 3 და ვაჟების 5 ნავი გამოვიდა. ქალთა შორის 1000 მეტრზე უმესაჭო ორადგილიანებით ასპარეზობაში ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ვარა მარგიშვილი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ალა ზინენკო (ორივე — „განთიადი“), II ადგილი დაიკავეს. ორივემ საგრძნობლად გადაამეტა სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად საჭირო მოთხოვნებს. სპორტის ოსტატობა შეასრულეს, აგრეთვე, „განთიადის“ გუნდის წევრებმა ლილი ცარციძემ, რომელიც ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს, და მარინა ცოცხალაშვილმა (ორივეს ბ. ვაისბერგი ავარჯიშებს).

ვაჟთა შორის 2000 მეტრზე შეჯიბრებაში ჩვენ 3 ორადგილიანი უმესაჭო ნავი გამოვიყვანეთ და სამივეს ეკიპაჟმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. 6 ნიჩბოსნიდან მანამდე ოსტატის წოდება მხოლოდ გენადი გაბელაიას ჰქონდა. მასთან ერთად ნავში იყო ვლადიმერ პეტრიუკი. ამ ეკიპაჟმა უჩვენა შედეგი — 7.26,0. უფრო უკეთ გამოვიდნენ გოდერძი თურქიაშვილისა და პაატა კობალაძის დუეტი — 7.16,0 (ოთხივე სპორტსმენს უ. ნათელაშვილი წვრთნის).

III საპრიზო ადგილი მოიპოვეს, გეგეჭკორის აღზრდილებმა ვადიმ ვასილიევმა და ლავრენტი რამიშვილმა — 7.14,0. ვაჟთა კვარტეტები თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის წევრები არიან. მაგრამ სპორტსმენთა წარმატებას ხელი დიდად შეუწყო თბილისის სპორტსმენთა ... ცენტრალურ წყალსაცავებზე ... ოლიმპიური მომზადების ცენტრში წვრთნამ.

ყველა გაცურვაში ბრძოლებე უშეღავათო იყო. ეს იმითაც დასტურდება, რომ თითოეულ კლასში 2 ათეულზე მეტი ნავი მონაწილეობდა, ერთადგილიანებით ასპარეზობაში კი პირველობისთვის პრეტენზიას 48 ნავი აცხადებდა.

წლევანდელი სეზონის უკანასკნელი ასპარეზობის შედეგები იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნები სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე დარჩენილ დროს ნაყოფიერად გამოიყენებენ და მოსკოვში გამართულ სასპარტაკიადო სტარტებზე გარკვეულ შედეგებს მიაღწევენ.

რეზერვი არის!

ტანვარჯიში

თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გაიმართა ქალაქის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. საუკეთესოდ იასპარეზეს თბილისის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც პროგრამის უმეტეს ხახეობაში გაიმარჯვეს.

სურათებზე: პირადი პირველობის პრიზიორები — ი. უემჩუკინა (II ადგილი), ზ. ხალილოვა (I ადგილი) და ბ. სისაური (III ადგილი); გუნდურ პირველობაში გამარჯვებული — ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლის გუნდი.

ო. ქიქავას ფოტოები.



ფინალი გადაწყვეტს

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის წინასწარი ტურნირის დასკვნით მატჩში საბჭოთა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში წააგო მასპინძელთან — ჩეხოსლოვაკის ნაკრებთან — 10:11 (5:5). ანგარიში გახსნეს საბჭოთა ხელბურთელებმა, რომლებიც შემდგომში კიდევ ორჯერ იყვნენ წინ. შესვენების შემდეგ ჩვენმა გუნდმა ვერ მოახერხა ჩეხოსლოვაკიელთა ლიდერის ფოლტინოვას ნეიტრალიზება, რომელმაც ექვსივე ბურთი გაიტანა. ამ მატჩში სუსტად ითამაშეს ჩვენი გუნდის წამყვანმა მოთამაშეებმა ტურჩინამ, კოჩერგინამ, ტიმოშკინამ, კარლოვამ.

ამრიგად, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები 2 ქულით იწყებს ფინალურ ასპარეზობას. ასევე გამარჯვებით შეევიდნენ ფინალურ ექვსეულში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — გდრ-ის (მან დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი — 15:14) და უნგრეთის ნაკრები გუნდები. ამ უკანასკნელმა სძლია პოლონელებს — 21:14.

აი წინასწარი ტურნირის დანარჩენი მატჩების შედეგებიც: რუმინეთი-სამხრეთი კორეა — 20:12, გფრ-კანადა — 20:6, ჰოლანდია-ალჟირი — 26:4. ამ წყვილებში გამარჯვებულები ერთმანეთთან მეშვიდე-მეცხრე ადგილებს გაითამაშებენ.

პირველ ექვსეულთა ფინალური ტურნირი ბრატისლავას სპორტის სასახლეში გაიმართება 5-10 დეკემბერს. სსრ კავშირის ნაკრები პირველ მატჩს უნგრეთის ნაკრებთან ატარებს, ჩეხოსლოვაკიელები — იუგოსლავიელებთან, გდრ-ის გუნდი — პოლონეთთან.

ხელბურთი

აჭარის პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ფიზკულტურის კოლექტივებში სულ უფრო პოპულარული ხდება ისეთი მასობრივ-გამაჯანსაღებელი სახეობები, როგორიცაა ტურიზმი, თევზაობა, ლაშქრობები, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების სპარტაკიადა და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია მშრომელთა ჯანმრთელობის ზრდისა და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ.

ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვის შემდგომი ზრდის, მასობრივ-გამაჯანსაღებელი სახეობების პოპულარიზაციის, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიზნით ამ დღეებში მთა ცისკარაზე (ხელვაჩაურის რაიონი), მდინარე კოროლისწყლის მიდამოებში ჩატარდა ავტონომიური რესპუბლიკის პროფკავშირულ-ფიზკულტურული ორგანიზაციების სპარტაკიადა „გზა ჯანმრთელობისკენ“, რომელიც ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებათა პროგრამაში იყო ასპარეზობანი ტურისტული ტექნიკის დემონსტრირებაში, თევზჭერაში, მშდ კომპლექსის ჩაბარებაში. ცუდი ამინდის მიუხედავად ტურნირში მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სარბიელზე პირველად ტურისტები გამოვიდნენ. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზურგჩანთის

ჯანმრთელობის გზით

ტურიზმი

ჩაწყობაში, დასერილ ტრასაზე რბენაში, ხევის გავლაში, ცეცხლის დანთებასა და კარვის დადგმაში, ყველას აჯობა „განთიადის“ გუნდმა, რომლის ინტერესებს ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ტურისტები იცავდნენ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პურის კომბინატისა (სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“) და ხელვაჩაურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის („კოლმეურნე“) გუნდები.

სპორტულ თევზჭერაში (მხედველობაში მიიღებოდა დაჭერილი ერთეულთა რაოდენობა) იმარჯვა პურკომბინატის ნაკრებმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის („განთიადი“) კოლექტივი და სხვა მეტოქენი.

მშდ მრავალჯერადთა ტურნირი მოიგეს ხელვაჩაურის მეურნეობის გუნდის წევრებმა.

საერთო ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა პურკომბინატის გუნდი. მომდევნო სპრიზო ადგილები ერგოთ ხელვაჩაურის მეურნეობისა და ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივებს.

გ. ზამბახიძე,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი.

ფიზკულტურის მასწავლებელი — ყურადღების ცენტრში

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ძირითადი თემა იყო — „ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნება“.

კონფერენციის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ ოლომოუცის 1573 წელს დაარსებული პალაცკის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც რამდენიმე წელია სისტემატურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი გ. ნიკოლაიშვილი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სტუდენტთა პროფესიული მომზადების კომპლექსური სისტემა როგორც ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნების ფორმირების ფაქტორი“.

დღევანდელ წერილში გ. ნიკოლაიშვილი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა და სპორტი განსაკუთრებით აქტუალური გახდა, გაძლიერ და საერთაშორისო ინტერესი ამ სფეროში მომუშავე მასწავლებლისადმი.

სწორედ ამ ფართო ინტერესის ნათელი გამოხატულება იყო ხალხმრავლობა ოლომოუცში მოწვეულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს 150-მდე დელეგატი გამოდიოდა. ჩვენი ქვეყნიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტების სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი, დოცენტი ბ. მინაევი, მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი ა. სიომკინი და ამ სტრიქონების ავტორი.

კონფერენციაზე მოისმინეს 100-ზე მეტი მოხსენება, რომელთა უმეტესობა ექსპერიმენტული იყო, აგრეთვე წაიკითხეს მიმოხილვითი ხასიათის მეცნიერულად შედარებით ნაკლებად ეფექტური მოხსენებებიც.

კონფერენციის ძირითადი თემის თანახმად, მოხსენებები ეხებოდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნებას. მრავალ ასპექტში: ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის საერთო განათლება და კულტურა, მისი პროფესიული მოწოდება და დახელოვნება, მასწავლებლის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური თვისებები, მოქალაქეობრივი ღირსება, ავტორიტეტი, პრესტიჟი სკოლასა და საზოგადოებაში. განსაკუთრებით ხშირი იყო მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების შესახებ წაკითხული მოხსენებები.

თავისი შინაარსითა და ორიგინალობით საინტერესო აღმოჩნდა იუგოსლავიელი პროფესორის ნ. ჟივანოვიჩის მოხსენება თემაზე — „მუსიკის გამოყენების მნიშვნელობა ფიზიკური აღზრდის პედაგოგიურ პროცესში“. ავტორმა აქ განავითარა აზრი, რომ ფიზიკური აღზრდისა და ვარჯიშების დროს ამ უკანასკნელთან შეთანხმებული მუსიკა თავისი რიტმითა და მელოდიურობით ინტენსიურად ავითარებს მოსწავლეებში ბუნებრივად მოცემულ რიტმულობას, რის შედეგადაც პიროვნება უფრო ელასტიური და რიტმული ხდება, ამასთან, მეტი ხალისით ებმება ვარჯიშში.

ასევე საინტერესო იყო დოცენტ ბ. მინაევის მოხსენება — „პროფესიული მოშზადება და მასწავლებლის პიროვნების ფორმირება“, აგრეთვე დოცენტ ა. სიომკინის „ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა მოძრაობითი უნარის განვითარების შესახებ“ და სხვ.

დასკვნითი პლენარული სხდომის წინა დღით, მრგვალ მაგიდასთან გაიმართა დისკუსია სამეცნიერო კონფერენციაზე მოსმენილ მოხსენებათა შედეგებზე. კერძოდ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა „ფიზიკური აღზრდის თანამედროვე მდგომარეობა და მასწავლებლის პიროვნების კვლევის შემდგომი განვითარების შესახებ“. აქ აღინიშნა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნების პრობლემებზე მიმდინარე კვლევის პროგრესული მნიშვნელობა და გამოითქვა აზრი ამ საკითხებისადმი საერთაშორისო კვლევისა და კოორდინაციის გაძლიერების შესახებ.

ოლომოუცში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პრობლემებზე მეცნიერული კვლევა-ძიების აქტუალობას.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ სასურველია ჩვენს რესპუბლიკაში გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯი და შეიქმნას ამ სფეროში სამეცნიერო მუშაობის საორგანიზაციო ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკაში მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის შეტად საჭირო დაკეთილშობილ საქმეს.

ქუთაისში, რესპუბლიკურ პირველობაზე

რაც უფრო ახლოვდება საბჭოთა სპორტის დიდი ფორუმი — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, მწვრთნელები და სპეციალისტები ყველა რესპუბლიკურ თუ საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებს „სასპარტაკიადო სათვალით“ უყურებენ. ამას წინათ ქუთაისში გამართული საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი კრიზისი სწორედ დიდი სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო.

ქუთაისში „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „შრომითი რეზერვების“, „დინამოს“, არმიის სპორტული კლუბის, „ლოკომოტივისა“ და „კოლმეურნეს“ 50-მდე მოკრივემ მოიყარა თავი. აღსანიშნავია, რომ სრული გუნდის გამოყვანა მხოლოდ „ბურევესტნიკმა“ და „განთიადმა“ შეძლო, ხოლო სპორტსაზოგადოება „სპარტაკს“ არც ერთი მოკრივე არ გამოუყვანია სარბიელზე.

წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: 48 კგ. **გ. ახლანოვი** („დინამო“), 51 კგ. **ს. კლიმანოვსკი** („განთიადი“), 54 კგ. **ა. ხიზანიშვილი** („ბურევესტნიკი“), 57 კგ. **ზ. კუხიანიძე** („კოლმეურნე“), 60 კგ. **ს. პეტროსიანი** („განთიადი), 63,5 კგ. **ტ. ცაბოლაშვილი** („ბურევესტნიკი“), 67 კგ. **გ. გოგოლაძე** („დინამო), 71 კგ. **ბ. მამულაშვილი** („ბურევესტნიკი“), 75 კგ. **მ. თაქთაქიშვილი** („განთიადი“), 81 კგ. **ი. ბიჭიკაშვილი** („განთიადი“), მძიმე. **ჯ. კოკოევი** („განთიადი“).

გუდღერ ჩათვლაში უძლიერესი იყო „ბურევესტნიკის“ ნაკრები (მწვრთნელები—ვ. ძნელაძე, ა. გიორგაძე და ა. ხატოევი), II ადგილზე „განთიადის“ (მწვრთნელი ვ. ხატიაშვილი) კოლექტივი გავიდა, ხოლო მესამეზე — „შრომითი რეზერვები“ (მწვრთნელი ს. ბერძენიშვილი) გუნდი.

შეჯიბრების დღეებში ქუთაისის კრიკის დარბაზს მაყურებელი არ მოკლებია. ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ რინგზე ახალბედა მოკრივეებთან ერთად საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონი ა. ხიზანიშვილი და მესამე პრიზიორი მ. თაქთაქიშვილიც გამოვიდნენ. მათ გარდა ტექნიკური, გაზრდილი ბრძოლებით თავი გამოიჩინეს. ბ. მამულაშვილმა, ბ. მურადოვმა, ბ. ცენგერაშვილმა, ზ. წამალაშვილმა, ს. ნემსიწვერიძემ და სხვებმა. აქვე უნდა ითქვას, რომ საქმე უფრო მოიგებდა, რომ მონაწილეთა რაოდენობა ლიმიტირებული არ ყოფილიყო. რესპუბლიკური ჩემპიონატი ხომ წელიწადში ერთხელ მართდება, ამიტომ პერსპექტიულ მოკრივეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება გამოცდილი სპორტსმენებს მხარდამხარ იბრძოლონ.

კარგი იქნება, თუ შემდგომში ლია ჩემპიონატებსაც ჩავატარებთ. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების მოკრივეებთან პაექრობისას რესპუბლიკის სპორტსმენებს შესაძლებლობა მიეცემათ მომავალ მეტოქეებთან მოსინჯონ ძალა და აიმაღლონ სპორტული ოსტატობის დონე.

ა. გიორგაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ჯრიკვი

ალი — სტივენსონი

მექიკო. მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონის თეოფილო სტივენსონისა და პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის მუჰამედ ალის შორის საჩვენებელი შეხვედრების სერია შეიძლება დაიწყოს ხუთ ორკში მომავალი წლის თებერვალში. — ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა მექსიკაში ჩასულმა ცნობილმა კუბელმა სპორტსმენმა.

სტივენსონმა თქვა, რომ მუჰამედ ალისთან მისი პირველი შეხვედრის დრო ჯერ საბოლოოდ არ არის შეთანხმებული. სულ დაგეგმილია ოთხი შეხვედრის მოწყობა — ნიუ იორკში, ჩიკაგოში, დეტროიტსა და ლოს-ანჯელესში. ყოველი ორთაბრძოლა სამი რაუნდით განისაზღვრება.

„ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი დაკავშირებულია სამოყვარულო სპორტთან, ამიტომ მე ამ შეხვედრებისთვის ვერ მივიღებ არც ერთ სენტავოს“, — თქვა კუბელმა სპორტსმენმა ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვის ჰასუხად. (საკვანძო).

მარცხი ნახევარფინალში

კანბერა. აქ დამთავრდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის (ეს შეჯიბრება მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება). როგორც ჩვენი გაზეთების მკითხველებმა იციან, საბჭოთა კავშირის ნაკრები ნახევარფინალურ მატჩში მასპინძელთა გუნდს ხვდებოდა. მანამდე საბჭოთა სპორტსმენებმა ერთხანრი ანგარიშით — 3:0 დამარცხეს ავსტრიის, იუგოსლავიისა და რუმინეთის კოლექტივები.

ნახევარფინალური შეხვედრის პირველ მატჩში მოსკოველმა ნ. ჩმირიოვამ მარცხი განიცადა მასპინძელ ჯ. რეიდთან — 5:7, 4:6. შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მოსკოველი ო. მოროზოვა და უ. ტერნბალი. ეს ორთაბრძოლა სამ საათს გაგრძელდა და საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა — 7:5, 1:6, 8:6.

სიბნელის გამო წყვეტილი ორთაბრძოლები მეორე დღეს დილით გაიმართა. საბედნიეროდ, მოროზოვა და ჩმირიოვა დამარცხდნენ რეიდ-ტერნბალის დუეტთან — 4:6, 2:6. საბოლოო ანგარიშია 2:1 ავსტრალიელთა სასარგებლოდ.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიისა და აშშ-ის ჩოგბურთელები. მართალია, პირველ ორთაბრძოლაში მასპინძელმა რეიდმა სძლია ტ. ოსტინს — 6:3, 6:3, მაგრამ მისმა თანამემამულემ ტრენბალმა მარცხი იწვნია მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელ ჭ. ევერტთან — 6:3, 1:6, 4:6. შემდეგ ევერტმა ბილ ჯინ კინგთან ერთად დამარცხა ტერნბალ-რეიდის წყვილი — 4:6. 6:1, 6:4. საბოლოო ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ამერიკელმა ჩოგბურთელებმა და საპატიო თასი დაისაკუთრეს.

ჩოგბურთი

კოლონეთის ქალაქ პოზნანში გაიმართა საჩვენებელი შეხვედრა პოლანდიელ ტ. ოკერსა და პოლონეთის ჩემპიონ ვ. ფიბაკს შორის. გაიმარჯვა მასპინძელმა — 3:6, 7:6, 6:3, 6:3. აღსანიშნავია, რომ ფიბაკის მეტოქე უიმბლდონის ტურნირის სამგზის გამარჯვებული შვედი ბ. ბორგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა მილანის საერთაშორისო ტურნირში ტრავმა მიიღო და მატჩზე ვერ გამოცხადდა.

მსოფლიოში საუკეთესო შედეგით

იაპონია ქალაქ ფუკუოკაში გაიმართა მარათონელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც წლევანდელი სეზონის დასასრულისთვის მსოფლიოში საუკეთესო შედეგით (2:10.21) მოიგო მასპინძელთა გუნდის წევრმა ტ. ეკომ. პრიზიორთა შორის მხოლოდ იაპონელები აღმოჩნდნენ. II ადგილზე გავიდა ხ. კიტა — 2:11.05, III — ს. სოხი — 2:11.42,2.

ათეულში დანარჩენი ადგილები ევროპელებს ხვდათ. ევროპის ჩემპიონმა, ჩელიაბინსკელმა ლ. მოისეევმა V შედეგი აჩვენა — 2:12.44,0, ხოლო შარშან ამგვარ ტურნირში, ფუკუოკა, ნიუ-იორკისა და ბოსტონის მარათონებში გამარჯვებულ ამერიკელ უ. როჯერსს VI ადგილი ხვდა — 2:12.51,3.

თანაკლუბელთა პაექრობით

ოლიმპიადა-76-ის ჩემპიონმა გუნდურ შეჯიბრებაში, ყაზანელმა ნალია გილიაზოვამ გაიმარჯვა ბერლინში გამართულ დინამოელთა საერთაშორისო ტურნირში რაპირისტებს შორის. მან ფინალში ოთხი შეხვედრა მოიგო ხუთიდან. ხმლით მოფარიკაველთა გუნდურ ტურნირში გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის დინამოელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სძლიეს გდრ-ის თანაკლუბელებს — 9:4.

მოსკოვი XXII თამაშების სარგებელი

აკადემიური ნიჩბოსნობა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ძველი ბინადარია. იგი პირველად გვხვდება 1900 წლის თამაშების პროგრამაში, სადაც ოთხი კლასის ნავებით 8 ქვეყნის 96 მონაწილე ცდიდა ძალას. მაშინ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში წარმატება წილად ხვდათ ფრანგებს.

მას შემდეგ არც ერთი ოლიმპიადა არ გამართულა სპორტის ამ სახეობის გარეშე, ოღონდ იცვლებოდა პროგრამა, მონაწილე ქვეყნებისა და ნიჩბოსნების რაოდენობა. მაგალითად, 1904 წელს გამარჯვებისთვის მხოლოდ აშშ-სა და კანადის გუნდები იბრძოდნენ და გუნდური დგილებიც ამ თანმიმდევრობით დაიკავეს.

მეორე მსოფლიო ომამდე გამართულ ოლიმპიადებში სარეკორდო იყო 1936 წლის თამაშები, რომელიც გერმანიაში ჩატარდა და ამ ქვეყნის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. მაშინ პროგრამის 7 სახეობაში 24 ქვეყნის 314 წარმომადგენელი ცდიდა ძალას. ფაქტიურად სწორედ ამ ოლიმპიადაში დაეცა ჰეგემონობა ამერიკელებისა, რომლებიც ზედიზედ ოთხ თამაშებში არ დამარცხებულან.

საბჭოთა სპორტსმენები აკადემიურ ნიჩბოსნთა შეჯიბრებაში იმ წლიდან მონაწილეობენ, როცა ჩვენი ქვეყანა პირველად გავიდა ოლიმპიურ ასპარეზზე. 1952 წელს ჰელსინკში, მერე კი მელბურნშიც ზედიზედ II ადგილები დაიკავეს, ხოლო კიდევ 4 წლის შემდეგ, რომის ოლიმპიადაზე ყველაზე დიდ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 32 ქვეყნის 408 ნიჩბოსანთან ბრძოლაში პირველობა მოიგეს.

დღემდე გამართული ოლიმპიადების ისტორიაში ამ სახეობაში შეჯიბრება ყველაზე ხალხმრავალი იყო XXI თამაშებზე, მონრეალში. მაშინ 14 სახეობაში 30 ქვეყნის 544 წარმომადგენელი აცხადებდა მედლებზე პრეტენზიას...

მოახლოვდა მოსკოვის XXII ოლიმპიადა, რომელიც თავისი გრანდიოზულობით ყველა მის წინამორბედ თამაშებს საგრძნობლად გადაამეტებს. როგორც ვარაუდობენ, კრილატსკის სანიჩბოსნო არხზე ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში ათასამდე სპორტსმენი მოიყრის თავს (მათ შორის 250 ქალს მოელიან).

1980 წლის 20 ივლისს მოსკოვის ოლიმპიური სოფლიდან 11 კილომეტრზე მდებარე არხზე 10 საათზე სტარტი მიეცემა ვაჟთა პირველ წინასწარ გაცურვას. ბრძოლები 27 ივლისის 14 საათამდე გაგრძელდება. ტურნირს 8 დღე ეთმობა. 20-24 ივლისი გრაფიკით წინასწარი და ნახევარფინალური შეხვედრებისთვისაა გათვალისწინებული, 26 და 27 ივლისი — ფინალებისთვის.

25 ივლისი სარეზერვო დღეა. იგი გადამწყვეტი სტარტების წინ სპორტსმენთა დასვენების და მომზადებისათვისაა გახკუთვნილი. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ოლიმპიადაზე ქალთა 80 ეკიპაჟზე მეტი მოგროვდა, მაშინ 24 ივლისს გაიმართება ქალების ნახევარფინალები, 25-ში — ვაჟებისა. (ისე, ქალთა და ვაჟთა ნახევარფინალები 24-ისთვის არის დაგეგმილი).

მოსკოვის ოლიმპიადაში აკადემიური ნიჩბოსნობის წარმომადგენლები, როგორც ქალთა (ისინი თამაშებში 1976 წლიდან მონაწილეობენ), ისე ვაჟთა შორის პირველ მედლებს ოთხადგილიანი მესაჯიანი გასაშლელებით გაითამაშებენ, ხოლო უკანასკნელ კომპლექტებს — რვაადგილიანების ეკიპაჟები.

მაინც ვის იქნებიან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართული ტურნირის ფავორიტები, ვის შესაძლოა ეს ფავორიტობა ადგილი ჰქონდეს? ეს ალბათ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჯერ ერთი, ეს ბევრ ადგილობრივ ფაქტორზეა, ამ ადგილებზე ოლიმპიადის ჩატარებამ ეს ადგილობრივ ფაქტორი ერთ-ერთ ძირითადად ქცევა. ეს ფაქტორი ეხება ადგილობრივ ნიჩბოსნებს, ეხება ადგილობრივ ნავებს, ეხება ადგილობრივ ეკიპაჟებს

შეხვედრები სტარტზე

დასასრული

ტიო ყაიმიც ბოლოდროინდელ ბევრ საერთაშორისო ტურნირის პირველ პრიზიორთან ვ. ტუკმაკოვთან. სტარტზე ფიქსირებული იყო დროის გაცდენის ერთი შემთხვევაც. ა. მიხალჩიშინს (ლვოვი) მწვავე პოზიციაში, 39-ე სვლაზე ო. რომანიშინთან (ორივე — ლვოვი) პარტიაში საათზე ალმი ჩამოუვარდა. ჯერჯერობით ეს პარტია ერთადერთია. რომელიც სატურნირო ცხრილში ქულით არის აღნიშნული. ყველა სხვა პარტია ყაიმით დამთავრდა. არ შედგა ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) — ე. სვეშნიკოვის (ჩელიაბინსკი) პარტია.

II ტურშიც ბევრი პარტია დასრულდა ყაიმით. როგორც ცნობილია, დებულება კრძალავს ყაიმზე შეთანხმებას 30-ე სვლამდე მთავარი მსაჯის ნებართვის გარეშე. ხუთ შეხვედრაში: სვეშნიკოვი — ტალი (მე-20 სვლაზე), დორფმანი—გელერი (25), ა. ბელიავსკი (ლვოვი) — ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი; 28), რომანიშინ—ცეშკოვსკი (25) და გიორგაძე — გ. კუზმინი (ეოროშილოვგრადი; 24) ყაიმი გარდუვალი იყო და მთავარი მსაჯის სანქციაც მიღებულ იქნა. მაგრამ ბაქოელთა კასპაროვი—ვ. ბაგიროვის პარტიაში თამაში 30-ე სვლამდე „გაჭიმა“. მაგრამ ამ „მშვიდობიან“ შეხვედრებში საინტერესო ბევრი რამ იყო: დებიუტის სიახლენი, გაბედული სტრატეგიული ჩანაფიქრი, ტაქტიკური ნიუანსები, მაგრამ რა გაეწყობა— უმაღლეს ლიგაში ბევრია „აუღებელი“ მეტოქე.

სამი პარტია გადაიდო (მიხალჩიშინი — გ. ტიმოშჩენკო, ი. რაზუვაევი — ტუკმაკოვი, გულკო—მაკარიჩევი). მიხალჩიშინს მოგების შანსი აქვს, რაზუვაევსა და გულკოს თითო ზედმეტი პაიკი მოგებისთვის შეიძლება არ ეყოთ.

ამრიგად, ერთპიროვნულად დაწინაურდა ო. რომანიშინი — 1,5.

დღეს გადადებული პარტიების დამთავრებაა. გაიმართება, აგრეთვე ცეშკოვსკი—სვეშნიკოვის გამოტოვებული პარტია.

ვ. მიკენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონის ბ. გულკოსა (მარცხნივ) და ს. მაკარიჩევის შეხვედრა.

თ. ქიქავას ფოტო.

ჭადრაკი

მასპინძელთა წარმატება

** კუთაისში** დამთავრდა რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 1 სკოლის (დირექტორი კ. გონაძე) პირველობები ჭადრაკში ქალთა და ვაჟთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, სოხუმის, რუსთავის, ზუგდიდის, გორის, სამტრედიისა და ცხაკაიას უძლიერესი თანრიგოსანი მოჭადრაკეები, თითოეულ ტურნირში 12 მონაწილე იყო.

ქალთა შეჯიბრებაში, რომელშიც 3 ოსტატობის კანდიდატი და 9 პირველთანრიგოსანი მოხაწილეობდა, 9,5 ქულით I ადგილი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ქუთაისელმა თამილა მესხმა (მწვრთნელი თ. ხარლამიდი). II-III ადგილები 8,5-8,5 ქულით გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა, ქუთაისელმა მაისო ჭირაქაძემ (მწვრთნელი ზ. ბურკაძე) და გორელმა ც. ქასოშვილმა (მწვრთნელი შ. თოთლაძე). კოეფიციენტის ცხრილით II ადგილი ქუთაისელ მოჭადრაკეს მიეკუთვნა.



ზაზა ლომინაძე.

თამილა მესხი.

ვაჟთა ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და I ადგილი დაისაკუთრა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ ზაზა ლომინაძემ (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. ქანთარია) — 9 ქულა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ქუთაისელი ზაზა გრძელიშვილი (მწვრთნელი თ. ხარლამიდი), ხოლო III ადგილი 7,5 ქულით ხვდა სოხუმელ გელა გიორგაძეს (მწვრთნელი მ. ძველაია).

ლ. ფაჩუაშვილი.

ავტორის ფოტოები.

შაში

[illegible] ბაგრდული შემართებით

მწვანე კონცხის ტურისტულ ბაზაზე, ორი კვირა მიმდინარეობდა საქართველოს ჭაბუკთა პირველობა 64-უჯრიან (რუსულ) შაშში. 16 მონაწილის შორის იყო ერთადერთი გოგონა — ქალთა შორის საქართველოს 1977 წლის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ქ. ნასარაია.

ტურნირში თავიდანვე ლიდერობა ხელთ ეჭიდა ფოთელმა ოსტატობის კანდიდატებმა ა. გუბელიძემ, დ. შავგულიძემ, ქ. ნასარაიამ და პირველთანრიგოსანმა ბ. პატარაიამ. ფოთელებს კვალში მხოლოდ თბილისელი მეორეთანრიგოსანი ნ. სვანიშვილი მიჰყვებოდა. I ადგილი დაიკავა გუბელიძემ (14 ქულა 15-დან), რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო და ყაიმს მხოლოდ შავგულიძესთან და სვანიშვილთან დასჯერდა.

დაუმარცხებლად ითამაშა, აგრეთვე, შავგულიძემ — 13,5. III ადგილზეა ქვეთევან ნასარაია — 12,5. IV-V ადგილები გაიყვეს სვანიშვილმა და პატარაიამ — 10-10.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გამარჯვებული მოშაშეების დაჯილდოება... დაავიწყდათ. ახალგაზრდულ ჩემპიონატს ნამდვილად აკლდა ყურადღება. მომავალში საჭიროა მეტი ზრუნვა მოშაშე ვაჟთა დაოსტატებაზე.

ზ. სვანიშვილი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალამოს სწავლების საშენებლო მექანიკის ფაკულტეტის III კურსის და საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

პირველი პრიზი — უკრაინის გუნდს

სოხუმის სტადიონზე დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი „გადასასვლელი“.

ფინალური ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა ორი გადამწყვეტი მატჩი. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ბელორუსიისა და ლატვიის გუნდები. ანგარიში გახსნა რიგელმა სემიონოვმა (იგი ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს), მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვეს ბელორუსიელმა ფეხბურთელებმა (3:2), რომლებიც III ადგილზე გავიდნენ. ამასთან პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის პრიზიც — „შემტევი სტილი“ — დაიმსახურეს. ბელორუსიის გუნდის გოლიპერი ცირკულნოვი ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზის მფლობელი გახდა.

პირველ ადგილს ერთმანეთს მოსკოვისა და უკრაინის გუნდები ეცილებოდნენ. ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 0:0. დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს უკრაინელმა ფეხბურთელებმა — 5:4.

ამრიგად, უკრაინის ნაკრები (მწვრთნელი — ვ. კანევსკი) ახალი პრიზის პირველი მფლობელი გახდა.

ფეხბურთი

დედაქალაქში უძლიერესნი

გასულ კვირას შედგა ფეხბურთში თბილისის ჩემპიონისა და თასის მფლობელის მატჩი სუპერთასზე. თამაშობდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და „უშბის“ გუნდები.

სტუდენტმა ფეხბურთელებმა აღმავლობით ჩაატარეს მატჩი, გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2 და თასიც მათი კუთვნილება გახდა.

საფრანგეთი

პირველი დივიზიონის გუნდებმა დაიწყეს II წრე. სტრასბურგის „რესინგმა“ (მას ერთი მატჩი გამოტოვებული აქვს) XX ტურში საკუთარ მინდორზე ფრედ — 1:1 ითამაშა „ლავალთან“. ამ მოულოდნელი შედეგის მიუხედავად იგი მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს — 19 შეხვედრიდან 28 ქულა. ჩემპიონი — „მონაკო“ დამარცხდა გასვლით მატჩში „ნანტთან“ — 0:3 და ახლა 20 თამაშიდან 26 ქულა აქვს. ამდენივე ქულა. ოლოხდ ბურთების უკეთესი სხვაობით, აქვს „სენტ-ეტიენს“. 24 ქულით IV ადგილზეა „ნანტი“. თასის მფლობელი — „ნასი“, სადაც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თამაში განაახლა გამოჩენილმა ფეხბურთელმა პლატინიმ, 20 თამაშიდან 17 ქულით XIII ადგილზეა (პირველ დივიზიონში 20 გუნდი გამოდის). საინტერესოა, რომ II დივიზიონში გადასვლა ემუქრებათ რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონებს „სტად დე რეიმსსა“ და „ნიცას“.

ავსტრია

14 ტურის შემდეგ ლიდერობს „აუსტრია“ (ვენა) — 21 ქულა. 3 ქულით ნაკლები აქვს „რაპიდს“ (ვენა).

XIV ტურში ლიდერმა დამაჯერებლად მოუგო გრაცის „შტურმს“ — 4:1. „რაპიდი“ თამაშობდა ინსბრუკში ადგილობრივ „სვაროვსკი-ვაკერთან“ და გაიმარჯვა — 2:0.

იტალია

VIII ტურის ყველაზე დაძაბული მატჩი გაიმართა ვიჩენცაში, სადაც „ლანეროსიმ“ მიიღო „მილანი“. მილანელებმა კონტრიერიშებზე ააგეს თამაში და დამსახურებულად გაიმარჯვეს — 3:2. ლიდერმა — „პერუჯამ“, რომელიც სტუმრად თამაშობდა „რომასთან“, ქულა დაკარგა — 0:0. დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა ტურინში ძველ მეტოქეებს — „იუვენტუსსა“ და „ტორინოს“ შორის. ფრე — 1:1.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ასკოლი“ — „კატანძარო“ 1:1, „ატალანტა“ — „ბოლონია“ 0:0, „აველინო“ — „ნაპოლი“ 1:1, „ფიორენტინა“ — „ვერონა“ 1:0, „ინტერი“ — „ლაციო“ 4:0.

8 ტურის შემდეგ 13-13 ქულა აქვთ „მილანსა“ და „პერუჯას“, 11 — „ტორინოს“, 10-10 — „ინტერსა“ და „ფიორენტინას“.

გელგია

ლიდერთა შორის დიდი სიმჭიდროვეა: I და XI ადგილებს სულ რაღაც 4 ქულა ჰყოფს.

17-17 ქულა მოაგროვეს „ბევერენ-ვაასმა“ და „ანდერლეხტმა“, 16-16 — „ბრიუქმა“ და „ანტვერპენმა“.

საბერძნეთი

ათენის, სალონიკისა და პიროსის გუნდები შეუპოვრად იბრძვიან საპრიზო ადგილებისთვის, დანარჩენ კლუბებს კი ეს პრობლემები ნაკლებად აწუხებთ. ისინი უფრო პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობენ.

IX ტურში ათენში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები აეკ-ი და „პოლონი“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა აეკ-მა. პიროსის „ეთნიკოსმა“ მიიღო საბერძნეთის ექს-ჩემპიონი პაოკ-ი. ფრე — 2:2.

ახლა „ეთნიკოსსა“ და აეკ-ს 15-15 ქულა აქვთ, სალონიკის „არისს“ — 14, ათენის „პანათინაიკოსსა“ და პიროსის „ოლიმპიაკოსს“ — 13-13.



თანამედროვე ხუთჭიდი — სპრინტერულად

ლონდონი, 4 დეკემბერი. ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში ვაგრძელდა სულ... ერთ დღეს, უფრო ზუსტად, გასტანა შვიდნახევარ საათს. ასეთი რამ პირველად მოხდა ინგლისის დედაქალაქის სპორტულ კომპლექს „კრისტალ-პალასზე“ გასულ კვირას. თანამედროვე ხუთჭიდის და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის ს. ტოფელტის ინიციატივით თანამედროვე ხუთჭიდის 12 საუკეთესო წარმომადგენელმა ჩაატარა აქ ექსპერიმენტული შეჯიბრება, რათა შეემოწმებინათ რამდენად შესაძლებელია მომავალ ოლიმპიადებზე ხუთჭიდელთა ტურნირები ჩატარდეს არა ხუთი, არამედ ერთი დღის მანძილზე.

ლონდონის ტურნირი მიმდინარეობდა შემდეგნაირად: ხუთჭიდელები ჯერ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, შემდეგ — ფარიკაობაში (ჩეეულებრივ, შეჯიბრებები სპორტის ამ სახეობაში იწყება ან ცხენოსნობით, ან ფარიკაობით), შერე — ცხენოსნობაში, ცურვასა და, დასასრულ, რბენაში.

ამ უნიკალურმა ტურნირმა გამოავლინა ორი გმირი — ნიჭიერი პოლონელი ათლეტი, ოლიმპიური ჩემპიონი ი. პიჩიაკ-პეჩიაკი და საბჭოთა სპორტსმენი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი პ. ლეონოვი.

პირველმა გამარჯვება მოიპოვა ამ შეჯიბრებაში, მეორემ კი ძმაბუტრაციისგან იხსნა ცხენი, როცა მან ფეხი დაუცურდა სველ მიწაზე. თეთ ლედხიოვმა კი მოასწრო ცხენიდან გადმოხტომა. ამის შედეგად სპორტსმენმა თეთითონ მიიღო ტრავმა და ვერ დაამთავრა შეჯიბრება.

პოლონელი ხუთჭიდელის შედეგია 5321 ქულა. II ადგილზე გავიდა უნგრელი ლ. ხორვატი (5065), ხოლო III იყო იტალიელი დ. მასალა (4977).

ლონდონის შეჯიბრებაში გამოდიოდნენ, აგრეთვე, ხუთჭიდის ცნობილი ოსტატები „ოლიმპიადა-76“-ის ბრინჯაოს პრიზიორი ი. ბარტუ (ჩეხოსლოვაკია), ჯ. ნაიტინგეილი (დიდი ბრიტანეთი), ნ. გლენესკი (აშშ) და სხვანი.

ტურნირმა მოწონება ჰპოვა როგორც მაყურებლებს, ისე მონაწილეებს შორის.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ცურვა

განვლილ კვირას ლენინგრადში დაიწყო მოცურავეთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე. ცურვის თითოეული სახეობის ოსტატები 2 დღის მანძილზე ოთხჯერ გამოვლენ საცურაო ბილიკზე, გამარჯვებული გამოვლინდება ოთხივე დისტანციაზე ნაჩვენები დროის მიხედვით.

50 მეტრზე თავისუფალი სტილით საუკეთესო დრო ჰქონდა მოსკოველ ვ. ბურეს — 24,46. ქალთა შორის გაიმარჯვა მისმა თანაქალაქელმა ო. კლეგაკინამ — 27,63. ბრასისტებს შორის ყველაზე სწრაფად ეს მანძილი დაფარა მსოფლიოს რეკორდსმენმა, ვილნიუსელმა ლ. კაჩუშიტემ — 34,51, მეორე უმლიერესი ბრასისტი — მსოფლიოს ჩემპიონი, ლენინგრადელი ი. ბოგდანოვა გამოვიდა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მისი შედეგია 4.35,77. ვაჟებში ეს მანძილი ყველაზე სწრაფად დაფარა მსოფლიოს ჩემპიონმა და ევროპის რეკორდსმენმა, ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა — 4.00,71.

სსრ კავშირის თასი მეექვსედ თამაშდება. მასში პირველად მონაწილეობენ უცხოელებიც — ინგლისის, უნგრეთის, დანიის, კანადის, რუმინეთისა და ჰოლანდიის მოცურავეები.

ბასეთი ბაჭიდის ეროველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქცია მისამართი: ქ.ეეიეეგ, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 93-56-14, 93-97-59; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-53; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-54; [illegible]-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის ბროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-40; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-56; მეშინაანეები — 93-97-57.